AS-Trade 7

სისტემის აღწერა

Apricot Software

სავაჭრო პროცესების ავტომატიზაციის სისტემა

თუ გსურთ გაუმჯობესოთ თქვენი შესაძლებლობები მომხმარებლების მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, შეამციროთ დაშვებული შეცდომები და სავაჭრო პროცესებზე დახარჯული დრო, მაშინ სწორედ შერჩეული სისტემა შესაძლოა გახდეს ბიზნესში წარმატების მიღწევის საიმედო ინსტრუმენტი.
სისტემა AS-Trade 7 დაპროექტებულ და შემუშავებულ იქნა სპეცილაურად მცირე და საშუალო ბიზნესისათვის. სისტემა იძლევა ყველა ძირითადი სასაწყობო პროცესების მართვის საშუალებას, რომელიც დაკავშირებულია საქონლის გაყიდვა-შეძენასთან.
ფართო ფუნქციონალურ შესაძლებლობებთან ერთად პროგრამა აკმაყოფილებს სავაჭრო სისტემების ორ ძირითად მოთხოვნას: სწრაფმოქმედება და საიმედოობა.
სისტემის დანერგვა და ექსპლუატაცია ადვილია, მარტივი და ინტუიციური სტრუქტურის წყალობით. სისტემის ტექნიკური მოთხოვნები არ არის მაღალი. ე.ი. ორგანიზაციას არ ესაჭიროება სისტემის ექსპლუატაციისთვის დამატებითი კომპიუტერული ტექნიკის და პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა.

სისტემა AS-Trade 7-ის ძირითადი უპირატესობები

საუკეთესო ფასი/ხარისხი-ს თანაფარდობა

სისტემის ფუნქციურობის, საუწყისო შესალებლობებისა და მრავალმხრივი მომსახურების გათვალისწინებით **AS-Trade 7**-ის ფასი არის ყველაზე დაბალი სავაჭრო სისტემების ბაზარზე.

სავაჭრო მოწყობილობებთან კავშირი

კავშირი სავაჭრო მოწყობილობებთან აადვილებს პროცესების ორგანიზებას, შესაყვანი მონაცემების სიზუსტის უზრუნველყოფით.
სისტემა AS-Trade 7 დაკავშირებულია შემდეგ მოწყობილობებთან

- საკონტროლო სალარო აპარატი
- შტრიხკოდის წამკითხავი სკანერები
- მაგნიტური ბარათის წამკითხავი მოწყობილობები
- ფასის იარლიყის საბეჭდი მოწყობილობები
- გაყიდვის ქვითრის საბეჭდი მოწყობილობები
- მომხმარებლის ეკრანი
- ელექტრონული სასწორები
- ინვეტრიზაციის მონაცემების შემკრები ტერმინალები

შემოსავლების სამსახურთან ინეგრაცია

- ანგარიშ-ფაქტურების და ზედნადებების ხელით შევსების საჭიროება აღარ

არსებობს RS.GE-ზე. უბრალოდ ატვირთეთ ისინი სისტემა AS-Trade 7-დან შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდზე.

- ანგარიშ-ფაქტურების და ზედნადებების ხელით შევსების საჭიროება აღარ არსებობს სისტემაში AS-Trade 7, უბრალოდ ჩამოტვირთეთ ისინი შემოსავლების სამსახურის ვებ-გვერდიდან სისტემა AS-Trade 7-ში.

კავშირი სისტემასთან AS-Accountant 7

AS-Trade 7 დაკავშირებულია სისტემასთან **AS-Accountant 7**, რაც გვაძლევს საშუალებას საქონლის და მყიდველების მონაცემები და გაყიდვების საბუთები ჩამოვტვირთოთ საბუღალტრო სისტემაში და თავი ავარიდოთ ინფორმაციის განმეორებით შეყვანას.

საბანკო ანგარიშების მართვა სისტემიდან

თქვენთვის მაქსიმალური კომფორტის და დროის დაზოგვის უზრუნველსაყოფად, სისტემა AS-Trade 7 არის ინტეგრირებული ინტერნეტ ბანკინგის სისტემებთან. TBC ბანკის, საქართველოს ბანკის, პროკრედიტ ბანკის და ქართუ ბანკის ინტერნეტ ბანკინგის სისტემასთან ინტეგრაციით თავისუფლდებით ტრანზაქციების ხელით შევსებისგან და ზოგავთ დროს. თქვენ გაქვთ შესაძლებლობა სისტემა AS-Trade 7-დან ბანკის ტრანზაქციები დააექსპორტოთ TBC ბანკის ინტერნეტ ბანკინგის სისტემაში და ასევე განახორციელოთ მონაცემების იმპორტი TBC ბანკის, საქართველოს ბანკის, პროკრედიტ ბანკის და ქართუ ბანკის ინტერნეტ ბანკიდან.

თანამედროვე, მომხიბლველი, კომფორტული სამუშაო გარემო

- სისტემის სამუშაო გარემო აგებულია ნაცნობ და მოხერხებულ MS Office ის სტილში ეს მომხმარებლებს საშუალებას აძლევს ადვილად დაიწყონ სისტემის მოხმარება და თავი აარიდონ ახალ სამუშაო გარემოსთან მიჩვევით გამოწვეულ დროის ხარჯვას და დისკომფორტს
- სისტემა მუშაობს Unicode-ით, რაც შესაძლებელს ხდის ნებისმიერ ენაზე შეყვანილ მონაცემებთან მუშაობას
- დოკუმენტის შექმნისას მიმდინარე მრავალი შემოწმება უზრუნველყოფს მონაცემთა მთლიანობას და სიზუსტეს
- სისტემას აქვს სხვადასხვა ფერის და შრიფტის თემები ნებისმიერ მომხმარებელს შეუძლია სისტემის მისთვის მაქსიმალურად მოხერხებული ხედის შერჩევა

ინსტალაციის და გამოყენების სიმარტივე

სისტემის ინსტალაცია და მასთან შემდგომი მუშაობა ძალიან მარტივია და არ მოითხოვს კომპანიაში ტექნიკური სპეციალისტის არსებობას ან ბუღალტერთა სიღრმისეულ გადამზადებას. სისტემის ტექნიკური მოთხოვნები არ არის მაღალი, ე. ი. კომპანიას არ ესაჭიროება დამატებითი კომპიუტერული ტექნიკის ან პროგრამული უზრუნველყოფის შეძენა.

ძლიერი და მოქნილი ანგარიშგების სისტემა

- თქვენ შეგიძლიათ სისტემიდან ნებისმიერი ინფორმაციის მიღება, მონაცემთა გაფილტვრის, დაჯგუფების, ჯამების დამატების, სვეტების ამორჩევის ინსტრუმენტების გამოყენებით.
- Excel-თან კავშირი: ახალი შემუშავების შედეგად, Excel-ში ემატება ფორმულები, რომლებიც გაძლევთ საშუალებას სისტემა AS-Trade 7-დან გადმოქაჩოთ მონაცემები. Excel-ის საანგარიშო და ანალიზური საშუალებების გამოყენებით შეგიძლიათ ნებისმიერი უწყისის მიღება.
- მრავალი ჩაშენებული უწყისი, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი ფინანსური და საგადასახადო უწყისები.
- მართვის დაფა, რომელიც გამოსახავს თქვენი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებს.

სისტემის მრავალმხრივი მხარდაჭერა

კლიენტებთან ხანგრძლივი მუშაობის შედეგად დაგროვილი გამოცდილება გვაძლევს საშუალებას კლიენტთა მომსახურების ეფექტური სისტემა შევიმუშაოთ და ვიყოთ დარწმუნებულნი, რომ თითოეული კლიენტი ღებულობს ამ მხარდაჭერით მაქსიმალურ კომფორტს.

- მონაწილეობა მიიღეთ ტექნიკურად აღჭურვილ AS სასაწავლო ცენტრში ორგანიზებულ ტრეინინგებში
- დაუსვით თქვენი კითხვები AS სატელეფონო ცენტრის ლიცენზირებულ სპეციალისტს
- დისტანციური დახმარება ინტერნეტის საშუალებით პირდაპირი კავშირი კლიენტების კომპიუტერთან
- მონაწილეობა მიიღეთ ახალი ვერსიის შეახებ ჩვენს სემინარებში და პრეზენტაციებში.
- ეწვიეთ AS კლიენტთა მომსახურების პორტალის ცოდნის ბაზას ხშირად დასმულ კითხვებზე პასუხების მისაღებად აგრეთვე შეგიძლიათ გამოიყენოთ სახელმძღვანელო და დამხმარე სტატიები
- სისტემის დაფუძნების და საკონსულტაციო სამუშაოები პარტნიორების მხრიდან.

შეუზღუდავი რაოდენობით აღრიცხვების წარმოების საშუალება

AS-Trade 7 სისტემაში შესაძლებელია შეუზღუდავი რაოდენობით ორგანიზაციების აღრიცხვის წარმოება, იმის მიუხედავად იყენებთ სისტემის ქსელურ თუ ერთ მომხმარებლიან ვერსიას.

MS Word, MS Excel, Open Office პროგრამებთან კავშირი

სისტემიდან შესაძლებელია მონაცემების ექსპორტი MS Word, MS Excel და შეზღუდვებით Open Office გარემოში.

მონაცემთა სწრაფი შეყვანის ახალი საშუალებები

სისტემაში დამატებული მონაცემთა ექსპორტირების და იმპორტირების ინსტრუმენტები გაძლევთ საშუალებას არსებითად დაზოგოთ დრო მონაცემების შეყვანაზე.

- MS Excel-დან მონაცემების და საბუთების იმპორტი
- მთელი ინფორმაციის ექსპორტი და იმპორტი XML ფაილების მეშვეობით

მუდმივად განახლებადი სისტემა

AS-Trade 7 სისტემის ვერსიების განახლება რეგულარულად ხდება. ახალ ვერსიებში ემატება ახალი შესაძლებლობები, რათა მომხმარებლის სამუშაო გახდეს უფრო შედეგიანი. ბოლო ვერსიის გადმოწერა და ინსტალაცია შესაძლებელია მხოლოდ ერთ ღილაკზე დაჭერით. აპრიკოტ სოფტვეარის მიერ ორგანიზებული იქნება სემინარები, რომელთა განმავლობაში მოხდება AS-Trade 7 სისტემის ახალ ვერსიებში შესული ცვლილებების პრეზენტაცია.

თანხის დაბრუნების გარანტია

თუ თქვენ არ ხართ კმაყოფილი სისტემა AS-Trade 7-ის მუშაობით, შეგიძლიათ დააბრუნოთ იგი შეძენიდან ექვსი თვის განმავლობაში და დაიბრუნოთ მასში გადახდილი თანხა მთლიანად. ყოველგვარი კითხვების გარეშე!

მოკლე დახასიათება

შესყიდვები

- საქონლის შეძენა მომწოდებლისგან
- საქონლის იმპორტი
- საქონლისშეძენასთან დაკავშირებული დამატებითი ხარჯების ასახვა (ტრანსპორტირების დატვირთვის და ჩამოტვირთვის დანახარჯები და სხვა)
- მომწოდებლისთვის საქონლის დაბრუნება
- მომწოდებელთან ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება

საბითუმო გაყიდვები

- საქონლის და მომსახურეობების მიყიდვა მყიდველისთვის სხვადასხვა საწყობიდან
- სხვადასხვა პრეისკურანტის და ფასის გამოყენება
- ასაწონი საქონლის გაყიდვები
- განვადებით გაყიდვები
- საქონლის დაბრუნება მყიდველისგან
- საგადასახადო ანგარიშების და ზედნადებების ექსპორტი RS.GE-ზე
- მყიდველისგან ფულადი საშუალებების მიღება ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით

საცალო გაყიდვები

- გაყიდვის ჩაწერა მოხერხებული და ფუნქციური ფანჯრის მეშვეობით
- კავშირი საგადასახადოს სალარო აპარატთან
- ფასდაკლების ბარათების გამოყენება
- ასაწონი საქონლის გაყიდვები
- შტრიხ კოდის წამკითხავი სკანერის გამოყენება
- ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორება (შერეული გადახდები)
- განვადებით გაყიდვები
- ხურდის გამოთვლა
- საქონლის დაბრუნება მყიდველისგან
- საქონლის ჯგუფური (კომპლექტების) გაყიდვები
- სასაქონლო ბარათების ბეჭდვა
- გასაყიდი ფასების გადაფასება

საწყობი

- საქონლის შიდა გადაადგილება საწყობსა და მაღაზიას შორის
- საქონლის შეტანა საწყობში და მაღაზიაში
- საქონლის გამოწერა საწყობიდან და მაღაზიიდან
- საქონლის ინვენტარიზაცია საწყობში და მაღაზიაში
- კომპლექტაცია - ნაკრების შეტანა საწყობში და საჭირო რაოდენობით ინგრედიენტების ჩამოწერა
- დეკომპლექტაცია - ნაკრების ჩამოწერა საწყობიდან და საჭირო რაოდენობით ინგრედიენტების შეტანა

ფასები და პრეისკურანტები

- საქონლის ფასთა განსხვავებული სახეობები (საცალო, საბითუმო, შესყიდვის და სხვა)

- ფასების ისტორიის აღრიცხვა
- პრეისკურანტების ბეჭდვის შესაძლებლობა
- ახალი ფასების ჯგუფური შეტანა სხვა ფასების საფუძველზე

შტრიხ-კოდის გამოყენების შესაძლებლობა

- საბუთში საქონლის შერჩევა შტრიხ კოდის წამკითხავი სკანერის მეშვეობით
- საქონლის სხვადასხვა საზომი ერთეულისთვის სხვადასხვა შტრიხ კოდის გამოყენება
- საქონლის ფასის იარლიყის ამობეჭდვა ცნობარიდან და უშუალოდ შეძენის საბუთიდან

მრავალვალუტიანი აღრიცხვა

- საქონლის ნაშთებისა და ბრუნვის აღრიცხვა პარალელურად ორ ვალუტაში ლარში და დამატებით სხვა ვალუტაში (მაგალითად აშშ დოლარში)
- შეძენის და რეალიზაციის საბუთების ფორმირება ნებისმიერ ვალუტაში
- მყიდველების და მომწოდებლების დავალიანებების და მოთხოვნების სავალუტო აღრიცხვა
- ფულადი საშუალებების ნაშთების და ბრუნვის აღრიცხვა სხვადასხვა ვალუტაში

პარტიული აღრიცხვა

- ერთზე მეტი საზომი ერთეულის და შეფუთვის გამოყენება
- ვარგისიანობის ვადების მწარმოებელი ქვეყნის მწარმოებლის შესახებ ინფორმაციის აღრიცხვა
- საქონლის მახასიათებლების აღწერის და გამოყენების შესაძლებლობა

საბუთებზე მუშაობა

საჭირო საბუთების ფორმირება, რომლებიც შემდგომში შესაძლოა იქნეს ჩაწერილი, რედაქტირებული, წაშლილი ან ამობეჭდილი. მაგალითად საწყობის შემოსავლის ორდერი, ანგარიშ-ფაქტურა, სალაროს შემოსავლის ორდერი და სხვა. საბუთებთან სამუშაო დამატებითი ბრძანებები:

- საბუთებზე მუშაობის ისტორია
- საბუთების ჯგუფური გადაწერა
- საბუთების ჯგუფური ბეჭდვა
- საბუთების საკუთარი საბეჭდი ფორმების შექმნა

უწყისები

- საწყობებში და მაღაზიებში საქონლის რაოდენობრივ თანხობრივი ბრუნვა და ნაშთი
- ფულადი საშუალებების ბრუნვა და ნაშთი
- მომწოდებლების და მყიდველების დავალიანებები და მოთხოვნები
- საქონლის გაყიდვების თანხობრივ რაოდენობრივი ანალიზი
- მოგების ან ზარალის ანალიზი
- მენეჯერის მართვის პანელი (დეშბორდი) - გასაყიდი მოცულობების ყველაზე გაყიდვადი საქონლის ფულადი საშუალებების და დებიტორ/კრედიტორული დავალიანებების დიაგრამები

მომხმარებლების სამუშაო უფლებების მართვა

- მისაწვდომი საბუთების, ცნობარებისა და უწყისების განსაზღვრა
- სამუშაო პერიოდის განსაზღვრა
- მისაწვდომი საწყობების განსაზღვრა
- არსებულზე მეტი საქონლის გამოწერის ნებართვა
- გასაყიდი ფასების რედაქტირების შეზღუდვა

ტექნიკური მოთხოვნები

AS- Trade 7 სისტემის მუშაობისთვის საჭიროა, რომ კომპიუტერმა დააკმაყოფილოს შემდეგი პირობები:

პროცესორი - 2.0 GHz dual core (რეკომენდებულია 2.4 GHz ან უფრო სწრაფი)
მეხსიერება – 2GB ან უფრო მეტი
ოპერაციული სისტემა

Windows 7 SP1 (x86 და x64)
Windows 8 (x86 და x64)
Windows 8.1 (x86 და x64)
Windows 10 (x86 და x64)
Windows Server 2008 SP2 (x86 და x64)
Windows Server 2008 R2 SP1
Windows Server 2012
Windows Server 2012 R2
Windows Server 2016

მყარი დისკი - სერვერის კომპიუტერის შემთხვევაში 2.5 GB თავისუფალი დისკის მოცულობა (კლიენტი კომპიუტერის შემთხვევაში 300 MB)

მონიტორი - მინიმალური რეზოლუცია 1024x768 (რეკომენდებულია 1280x720ან მეტი)
პროგრამული უზრუნველყოფა

Microsoft®.NET Framework 3.5 SP1
Microsoft®.NET Framework 4.6.2
VBA Component of Office

მოთხოვნები ინტეგერაციისთვის

დახმარების სახელმძღვანელო - Internet Explorer, Google Chrome, Mozilla Firefox, Opera ბოლო განახლებებით.

ექსპორტისთვის საჭიროა - Microsoft Excel, Word 2010 ან უფრო ახალი, და გარკვეული შეზღუდვებით OOO Writer და OOO Calc systems, განსაკუთრებით Open Office 3.4 ან უფრო ახალი.